ქალაქების ბრძოლა თავისუფლებისთვის
და კომუნების ფიცი (XI-XIII საუკუნეები)

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

მიზანი:

- მოსწავლეებმა შეძლონ წყაროს გაანალიზება
- განუვითარდეთ კრიტიკული აზროვნების უნარები: არგუმენტების შეფასება და შედარება.

ქვემოთ მოცემულია საკლასო აქტივობა მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებისთვის, რომელიც ეფუძნება სტატიის გააზრებას. ეს მეორადი წყარო წარმოადგენს კანადელი მეცნიერის, ჯონ. ჰ. მუნროს სტატიის ადაპტირებულ ვარიანტს, რომელიც შუა საუკუნეების ევროპაში ქალაქების ავტონომიისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას ეხება. ავტორი აანალიზებს იმ მიზეზებს, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ გარდაქმნას და შედეგად თავისუფალი ქალაქების წარმოშობა განაპირობა. მუნრო გამოთქვამს იდეას, რომ ქალაქების გათავისუფლებამ საფუძველი ჩაუყარა ბურჟუაზიული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

ტექსტის ბოლოს მოცემულია შეკითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა საშუალებას მისცემს ჩვენს აღსაზრდელებს, გააანალიზონ ეს მეტად საინტერესო ისტორიული მოვლენა. ცალკე მოცემულია ვარიანტი, რომელიც მასწავლებლებისთვისაა განკუთვნილი. ამ ვარიანტში თითოეულ შეკითხვაზე სავარაუდო პასუხია გაცემული.

წინამდებარე აქტივობა განკუთვნილია X და XI კლასის მოსწავლეებისთვის.

დავალება:

მოსწავლეებს ევალებათ, ყურადღებით გაეცნონ წყაროს და პასუხი გასცენ დასმულ შეკითხვებს. თითოეული პასუხის ქულა მოცემულია ამ პასუხის ბოლოს. წყაროს ანალიზის შეფასების მაქსიმალური ქულაა - 13

წყაროს ანალიზი

ქალაქების ბრძოლა თავისუფლებისთვის და კომუნების ფიცი (XI-XIII საუკუნეები)

ჯონ ჰ. მუნრო (John H. Munro) კანადელი ეკონომიკის ისტორიკოსი

XI საუკუნიდან მოყოლებული, შუა საუკენეების ევროპაში ქალაქი ხდება ახალი სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების ეპიცენტრი. ეს გარდაქმნა განაპირობა სოფლის მეურნეობაში პროდუქტიულობის მატებამ, რამაც მოსახლეობის ნაწილს საშუალება მისცა, აღარ ემუშავათ მიწაზე და ხელი მოეკიდათ ხელოსნობისა და ვაჭრობისთვის. ქალაქები, უმრავლესს შემთხვევაში, ფეოდალების, ეპისკოპოსებისა და მონასტრების ტერიტორიაზე მდებარეობდნენ, ამიტომ მათ უწევდათ მძიმე ფეოდალური ვალდებულებების შესრულება და გადასახადების გადახდა. ფეოდალთა იურისდიქცია მოიცავდა არა მარტო ეკონომიკურ კონტროლს (გადასახადები, მფარველობა), არამედ სოციალურ და იურიდიულ რეგულაციებსაც (სასამართლო, სამართლის უფლება).

ქალაქების მზარდმა მოსახლეობამ, რომელიც ძირითადად ვაჭრებსა და ხელოსნებს წარმოადგენდა, მალევე გააცნობიერა, რომ მათი ეკონომიკური განვითარება შეზღუდული იყო ფეოდალური ბორკილებით. მოქალაქეებს სჭიდებოდათ თავისუფლება - თავისუფლება მძიმე გადასახადებისგან, ბატონთა თვითნებური სამართლისგან და უფლება, თავად ემართათ საკუთარი ფინანსური საქმეები. ამ მოთხოვნებმა დასაბამი მისცა კომუნების მოძრაობას.

კომუნა იყო ფიცით გაერთიანებულ მოქალაქეთა ორგანიზაცია (ლათ. *coniuratio* – ფიცით შეკავშირება, შეთქმულება), რომლის მიზანი იყო ქალაქებისთვის დამოუკიდებლობის მოპოვება. ეს ბრძოლა სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობდა:

1. *გამოსყიდვა* - უმდიდრესი ქალაქები ხშირად ყიდულობდნენ თავისუფლების უფლებას ფეოდალებისა და მეფეებისგან, რომლებიც ფულად სახსრებს საჭიროებდნენ სამხედრო კამპანიებისა ან სხვა ხარჯებისთვის. ნაწილი ქალაქებისა ასე იღებდა ქარტიას (ლათ. Charta - სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე დოკუმენტის სახელწოდება), რომელიც უზურველყოფდა მათ ახალ უფლებებს.
2. *იძულება და აჯანყება* - იქ, სადაც ფეოდალები წინააღმდეგობას უწევდნენ, მოქალაქეები მიმართავდნენ აჯანყებას. ამგვარი ძალადობრივი შეტაკებები ხშირი იყო ჩრდილოეთ იტალიასა და ფლანდრიაში (დღევანდელი ბელგია), სადაც ცენტრალური ხელისუფლება სუსტი იყო. ამ აჯანყებების შედეგად ჩამოყალიბდა მრავალი დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფო (მაგ. ფლორენცია, ვენეცია და სხვა).
3. *სამეფო მხარდაჭერა* - ზოგიერთ შემთხვევაში, მეფეები, რომლებიც ცდილობდნენ ფეოდალთა ძალაუფლების შესუსტებას, მხარს უჭერდნენ კომუნების მოძრაობას და ანიჭებდნენ მათ პრივილეგიებს, რითაც იქმნებოდა ფეოდალთა წინააღმდეგ მეფეთა ბრძოლის ახალი ინსტრუმენტი.

ქალაქების მიერ თავისუფლების მოპოვებამ გამოიწვია მათი მართვის სისტემის ფუნდამენტური ცვლილება. შეიქმნა ქალაქთა საბჭოები და არჩეული მაგისტრატები (ქალაქის მმართველები - კონსულები, ბურგომისტები, მერები, ქალაქის თავები), ფეოდალთა ნაცვლად ახორციელებდნენ ადმინისტრაციულ და იურიდიულ უფლებამოსილებას. ამან ხელი შეუწყო ვაჭრობის, საბანკო საქმის და ხელოსნობის განვითარებას, რამაც, საბოლოოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფეოდალური სისტემის

დასუსტებასა და ევროპის თანამედროვე ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებაში.

შეკითხვები:

1. რა იყო ძირითადი მიზეზი, რამაც დასაბამი მისცა ევროპის ქალაქების ეკონომიკურ ზრდას XI საუკუნიდან? (1 ქულა) როგორ გახდა ეს ეკონომიკური ცვლილება პოლიტიკური თავისუფლების მოთხოვნის საფუძველი? (1 ქულა) (სულ 2 ქულა)

სავარაუდო პასუხი მასწავლებლებისთვის: *ძირითადი მიზეზი იყო სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის მატება. ამან გამოიწვია ის, რომ მოსახლეობის ნაწილი გათავისუფლდა მიწაზე მუშაობისგან. მათ შეეძლოთ ხელი მოეკიდათ ხელოსნობისა და ვაჭრობისთვის (ბურჟუაზიის ზრდა).*

ეკონომიკური ცვლილება პოლიტიკური მოთხოვნების საფუძველი გახდა, რადგან ვაჭრებმა და ხელოსნებმა გააცნობიერეს, რომ მათი ეკონომიკური წარმატება და განვითარება შეზღუდული იყო ფეოდალების მძიმე გადასახადებით, ვალდებულებებით და თვითნებური იურიდიული კონტროლით. ქალაქის მოსახლეობას სჭირდებოდა იურიდიული და ეკონომიკური ავტონომია საკუთარი სამეანობის სამართავად.

2. ტექსტის პირველი აბზაცის მიხედვით, აღწერეთ, რომელი ორგვარი კონტროლის ქვეშ ((ეკონომიკური(1 ქულა) და იურიდიული (1 ქულა)) იმყოფებოდნენ ქალაქები ფეოდალთა მხრიდან (2 ქულა).

სავარაუდო პასუხი მასწავლებლებისთვის:: *ქალაქები იმყოფებოდნენ ორგვარი კონტროლის ქვეშ:*

ეკონომიკური კონტროლი მოიცავდა მძიმე ფეოდალურ ვალდებულებებს და გადასახადებს, როგორიცაა ბაზრის გადასახადები და ფეოდალთა კონტროლი საერთო ეკონომიკურ პროცესზე (1 ქულა).

სოციალურ-იურიდიული კონტროლი გულისხმობდა ფეოდალთა იურისდიქციას და მათ მიერ სასამართლოს წარმოების უფლებას, ასევე ფეოდალებს უფლება ჰქონდათ, დაედგინათ სამართლის უფლება ქალაქის ტერიტორიაზე, ანუ ფეოდალი იყო უმაღლესი მოსამართლე და ადმინისტრატორი (1 ქულა).

3. განმარტეთ ტერმინ „კომუნის“ მნიშვნელობა ისე, როგორც ეს მოცემულია ტექსტში (მათ შორის მისი ლათინური წარმომავლობა) (1 ქულა). რა იყო ამ ორგანიზაციის მთავარი მიზანი (1 ქულა)? (სულ 2 ქულა)

სავარაუდო პასუხი მასწავლებლებისთვის: *კომუნა იყო ფიცით გაერთიანებული მოქალაქეების ორგანიზაცია. ტერმინი მომდინარეობს სიტყვიდან coniuratio, რაც ნიშნავს ფიცით შეკავშირებას (1 ქულა). ამ ორგანიზაციის მთავარი მიზანი იყო ქალაქისთვის თვითმმართველობის (დამოუკიდებლობის) მოპოვება და ფეოდალთაგან გათავისუფლება (1 ქულა).*

4. *ტესტი ასახელებს ქალაქების მიერ თავისუფლების მოპოვების სამ განსხვავებულ გზას (გამოსყიდვა, იძულება და აჯანყება, სამეფო მხარდაჭერა). ამათგან, რომელი იყო ყველაზე*

მშვიდობიანი (1 ქულა) და რომელი მიუთითებს სუსტ ცენტრალურ ხელისუფლებაზე (1 ქულა)? (სულ 2 ქულა)

სავარაუდო პასუხი მასწავლებლებისთვის: *ყველაზე მშვიდობიანი იყო გამოსყიდვის გზა, როდესაც ქალაქები ფულით ყიდულობდნენ თავისულებას. ეს გზა ფულად სახსრებს საჭიროებდა (1 ქულა).*

გზა, რომელიც ყველაზე მეტად მიუთითებს სუსტ ცენტრალურ ხელისუფლებაზე, იყო იძულება და აჯანყება. განსაკუთრებით, ჩრდილოეთ იტალიასა და ფლანდრიაში. სწორედ ამ რეგიონებში ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის პირობებში, მოქალაქეებმა აჯანყების შედეგად შეძლეს დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოების ჩამოყალიბება (1 ქულა).

5. რას წარმოადგენდა ქარტია ქალაქებისთვის (1 ქულა)? რა როლს თამაშობდა ეს დოკუმენტი გამოსყიდვის გზით თავისუფლების მოპოვების პროცესში(1 ქულა)? (სულ 2 ქულა)

სავარაუდო პასუხი მასწავლებლებისთვის: *ქარტია იყო იურიდიული დოკუმენტი (სიგელი), რომელიც ოფიციალურად აფორმებდა და ადასტურებდა ქალაქის მიერ მოპოვებულ ახალ უფლებებსა და პრივილეგიებს (1 ქულა). შესყიდვის გზით თავისუფლების მოპოვების პროცესში ქარტია იყო გარიგების მოპოვების საბოლოო პროდუქტი - ფეოდალი ფულის სანაცვლოდ ქალაქს ანიჭებდა კონკრეტულ უფლებებს, რომელიც შემდეგ ამ ქარტიაში ფიქსირდებოდა. იგი იცავდა ქალაქს ფეოდალის მომავალი თვითნებობისგან (1 ქულა).*

6. ქალაქის თავისუფლების მოპოვების შემდეგ, როგორ შეიცვალა მისი მართვის სისტემა (1 ქულა)? დაასახელეთ ის ახალი მმართველი ორგანოები და თანამდებობები, რომლებმაც შეცვალეს ფეოდალური იურისდიქცია (1 ქულა). (სულ 2 ქულა)

სავარაუდო პასუხი მასწავლებლებისთვის: *თავისუფლების მოპოვების შემდეგ, მმართველობის სისტემა ფუნდამენტურად შეიცვალა - ის თვითმმართველობითი გახდა (1 ქულა).*

ფეოდალთა იურისდიქცია ჩაანაცვლა:

- *ქალაქის საბჭოებმა (კოლეგიური მმართველი ორგანო);*
- *არჩეულმა მაგისტრატებმა (კონსულები, ბურგომისტრები, მერები, ქალაქის თავები), რომლებიც ახორციელებდნენ ადმინისტრაციულ, ფინანსურ და იურიდიულ უფლებას (1 ქულა).*

7. როგორ აფასებს სტატია ქალაქების თავისულების მოძრაობის საბოლოო შედეგს ევროპის ფეოდალური სისტემისა და შემდგომი განვითარების თვალსაზრისით (1 ქულა)?

სავარაუდო პასუხი მასწავლებლებისთვის: *სტატია ქალაქების თავისუფლების მოძრაობის საბოლოო შედეგს აფასებს როგორც უაღრესად პოზიტიურს და გარდამტეხს. ამ ცვლილების შედეგად:*

- *განვითარდა ვაჭრობა, საბანკო საქმე და ხელოსნობა;*
- *შესუსტდა ფეოდალური სისტემა;*
- *გარდაქმნამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევროპის თანამედროვე ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. ამ ტიპის ქალაქებმა საფუძველი ჩაუყარეს ბურჟუაზიული ევროპის განვითარებას (1 ქულა)*